მონარქისა და ფეოდალების დაპირისპირება X-XII საუკუნეების საქართველოში (მიზეზები, სასჯელები, შედეგები)

დავით ნოზაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

შუა საუკუნეების კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკა ჭყოიძე, ასოცირებული პროფესორი; იოანინას უნივერსიტეტის (საბერძნეთი) ფილოსოფიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დავით ნოზაძე

2024 წელი

აბსტრაქტი

X-XII საუკუნეების საქართველოს შიდა პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია მონარქსა და ფეოდალებს შორის არსებული ურთიერთობა. შუა საუკუნეების ამ პერიოდის საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად. ქართველ მონარქებს გარეშე მტრის გარდა, ხშირად უწევდათ ქვეყნის შიგნით ფეოდალების, დიდი თუ წვრილი აზნაურობის მოგერიებაც.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია გააანალიზოს X-XII საუკუნეებში ქართველ მონარქსა და ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს შორის დაპირისპირებები, რა ძირითადი ფაქტორები განაპირობებს ამა თუ იმ კონფლიქტს, როგორ პოლიტიკას აწარმოებს მონარქი მასთან დაპირისპირებული მხარის შესაჩერებლად.

კლასობრივი ბრძოლის ამ ფონზე, რასაც ტერიტორიისთვის, მონარქის ხელისუფლების შეზღუდვისთვის, უპირატესობის მოპოვებისთვის ბრძოლა განაპირობებს, უმნიშვნელოვანესია ქვეყნის სამართლებრივი ასპექტების გააანალიზება; თუ როგორ სამართლებრივ პოლიტიკას ახორციელებს მონარქი ქვეყანაში და დასჯის რა ფორმებით უსწორდება მოწინააღმდეგე კლასს თუ უშუალოდ კონკრეტულ პირს.

ნაშრომში გააანალიზებულია შუა საუკუნეების საქართველოს მეზობელი ქვეყნის ბიზანტიის იმპერიის სამართლებრივი ცხოვრება და ის გავლენები, რომლებსაც ქართველი მონარქები განიცდიდნენ „მსუბუქი“ სასჯელების განხორციელების დროს.

კვლევა, რომელიც ძირითადად ეყრდნობა ქართულ ისტორიოგრაფიას (პარალელები ასევე მოხმობილია სომხური ისტორიოგრაფიიდანაც) და დოკუმენტურ წყაროებს, სიგელ-გუჯრებს, შესრულებულია ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი მეთოდით.

კვლევაში გაანალიზდა განსაზღვრულ პერიოდში ქართველი მონარქების მიერ ფეოდალების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის მიზეზები. დადგინდა, თუ რატომ და რა ხერხებით იბრძვის მონარქი დაპირისპირებული მხარის წინააღმდეგ. დაზუსტდა ამ დროს ხელისუფალის მიერ გამოტანილი საერო და საჯარო სასჯელების ფორმები.

ნაშრომი განკუთვნილია ფეოდალური საქართველოს X-XII საუკუნეების პერიოდის მკვლევართათვის, და ზოგადად, შუა საუკუნეებით და ქართული სამართლის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ბაგრატIII, ბაგრატIV, გიორგიII, დავითIV, დემეტრეI, ფეოდალები, ბაღვაშები, მონარქი, ფეოდალური საქართველო, სასჯელი, „მსუბუქი სასჯელი“.

Abstract

One of the most important issues of the internal politics of Georgia in the X - XII centuries is the relationship between the monarch and the feudal lords. In this period of the Middle Ages, the fight to strengthen the central government is actively going on in Georgia. Apart from external enemies, Georgian monarchs have to actively fight against the enemies within the country, feudal lords, large and small nobility.

The aim of the presented master's thesis is to analyze X - XII The issues of the fight between the Georgian monarch and the opposing groups of the central government over the centuries,

what are the main factors that lead to this fight, how the monarch conducts politics to stop the opposing side.

In this background of the class fight, which is caused by the fight for the territory of the land, to limit the power of the monarch, to gain an advantage, it is of the utmost importance to analyze the legal life of the country, how the monarch implements legal policy in the country and in what ways he punishes the opposing class or directly to a specific person.

The legal life of the Byzantine Empire of the neighboring country of Georgia in the Middle Ages and the influences that the Georgian monarchs experienced during the implementation of "light" punishments are analyzed.

The research, which is mainly based on Georgian historiography (parallels are also described from Armenian historiography) and documentary sources, sigel-gujres, is carried out using the historical-source science method.

The study analyzed the reasons for the policies of the Georgian monarchs against the feudal lords in a certain period, it was determined why and in what ways the monarch fights against the opposing party. The forms of secular and public punishments issued by the government at that time were specified.

The work is intended for people interested in the history of Georgia, especially for researchers of feudal Georgia in the period of the X - XII centuries. For researchers of the Middle Ages and for those interested in the history of Georgian law.

Key Words: Bagrat III, Bagrat IV, George II, David IV, Demetrius I, Feudal lords, Baghuashi, Monarch, Feudal Georgia, Punishment, “Light Punishment”.

მადლობა

უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ეკა ჭყოიძეს, იმ დიდი დახმარებისა და დროისთვის, რომელიც ჩემთვის გამოყო. შენიშვნებისა და კომენტარებისთვის, რამაც ხელი შემიწყო, დამეწერა ნაშრომი. ასევე დიდ მადლობას ვუხდი ილიას უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ირმა ყარაულაშვილს, საჭირო და სასარგებლო რჩევებისა და დახმარებისთვის.